მუხლი 482. ნივთის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა

1. გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

2. თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

I. ზოგადად 1
II. შემადგენლობა 2
1. გადაცემა 2
2. გამონაკლისი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში 2
3. რისკისგადასვლის ფარგლები — ნივთზე შემთხვევითი დაღუპვის რისკი 3
ა) დაღუპვა 3
ბ) გაფუჭება 3
გ) შემთხვევითობა 3
4. გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში რისკის გადასვლის განსხვავებული წესი 4
III. სამართლებრი ვიშედეგი 6
5. ხელშეკრულებით განსხვავებული წესის შეთანხმება: 6
IV. მტკიცების ტვირთი 6

I. ზოგადად

მოწესრიგების მიზანია, განსაზღვროს, როდის გადადის მყიდველზე ნივთის შემთხვევითი დაღუპვისა თუ გაფუჭების რისკი. რისკის გადანაწილების პრინციპი ნივთზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობის მიხედვით განისაზღვრება. 1

მოწესრიგება ვრცელდება ნასყიდობის ნებისმიერ შემთხვევაზე, მოძრავ და უძრავ ნივთებზე და ასევე უფლებაზე თუ ამ უფლების შეძენა ნივთზე მფლობელობის უფლებას წარმოშობს.[1] 2

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგულირება, როდესაც საკუთრების უფლების გადაცემა და ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემა ერთდროულად არ ხორციელდება.[2] 3

გამართლებულია, სწორედ იმ პირმა უნდა იტვირთოს ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, რომელიც მასზე ფაქტობრივ ბატონობას ახორციელებს. 4

ამ პრინციპის გათვალისწინებით, უდავოა, რომ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში ნივთის გადაცემის შემდეგ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკი სწორედ მყიდველზე გადადის.[3] ეს წესი ვრცელდება, მათ შორის, პირობდებული საკუთრების შესახებ შეთანხმებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შემთხვევაში.[4] 5

---

[1] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 4.
[2] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 1.
[3] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 4 ივნისის № ას-12-12-2012 გადაწყვეტილება.
[4] MüKo/*Huber,* BGB, 6. Aufl., 2012, Art. 67 CISG, Rn. 22.

6 გასათვალისწინებელია, რომ რისკის გადასვლის შემდეგ მყიდველი ვალდებულია, შეასრულოს საპასუხო შესრულება, მათ შორის, მაშინ, თუ არსებობს 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული წიპაპირობები.[5]

II. შემადგენლობა

7 გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

1. გადაცემა

8 პირველ რიგში ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა დადგინდეს რას გულისხმობს გადაცემა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. მაგალითისათვის, საინტერესოა გერმანული განმარტება, რომლის მიხედვითაც გაზის, წყლისა და ელექტროდენის მიწოდებისას გადაცემად ითვლება მრიცხველზე აღრიცხვა.[6]

გადაცემის შეფასებისას გასათვალისწინებელია ასევე, სახეზეა წაღების, მიტანის თუ გაგზავნის ვალდებულება. წაღების ვალდებულების შემთხვევაში გადაცემა განხორციელებულად ჩაითვლება, როდესაც მყიდველისათვის წასაღებ მდგომარეობაში გამოცალკევეული ნივთის ჩატვირთვას დაიწყებს მყიდველი.[7]

9 მიტანის ვალდებულების შემთხვევაში, გადაცემა სახეზეა ტრანსპორტირების დასრულებისა და მყიდველის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მიერ მიღების შემთხვევაში.[8]

10 მიტანის ვალდებულება 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოწესრიგების სფეროში ექცევა[9] და რისკის გადასვლის მომენტი სრულიად განსხვავდება გაგზავნის ვალდებულების შემთხვევისაგან.[10]

11 კერძოდ, თუ მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე მყიდველი გზავნის ნივთს, რისკი გადასულად უნდა ჩაითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა გადასცა ნივთი გადამზიდველს.[11]

2. გამონაკლისი კრედიტორის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში

12 რისკის გადასვლის მიზნებისათვის კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას გადაცემა განხორციელებულად უნდა ჩაითვალოს, კერძოდ მყიდველზე ასეთ შემთხვევაში გადავა შემთხვევითი დაღუპვის რისკი მიუხედავად იმისა რომ ფაქტობრივი გადაცემა არ მომხდარა.[12] შესაბამისად, მყიდველი ვალდებული იქნება, გადაიხადოს ნივთის ღირებულება სრულად, თუ ნივთი დაზიანდა ან განადგურდა მოვალისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით, შემთხვევითობის საფუძველზე. კრედიტორის მიერ ნივთის ღირებულების გადახდის

---

[5] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 1.
[6] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 6.
[7] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 6.
[8] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 6.
[9] MüKo/*Huber,* BGB, 6. Aufl., 2012, Art. 67 CISG, Rn. 5.
[10] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 7.
[11] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 4.
[12] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 10.

ვალდებულება, ცხადია, არ წარმოიშობა, თუ სახეზეა მოვალის ბრალი ან მის მიერ არაძირითადი ვალდებულების დარღვევა, რამაც გამოიწვია ნივთის განადგურება-დაზიანება.[13]

3. რისკისგადასვლის ფარგლები — ნივთზე შემთხვევითი დაღუპვის რისკი

ა) დაღუპვა

ნივთის დაღუპვა ეკონომიკური გაგებით მოიცავს ნებისმიერ შემთხვევას, რომლის შედეგად მყიდველი ნივთის გამოყენების შესაძლებლობას კარგავს. 13

ასეთად შეიძლება ჩაითვალოს მათ შორის, თუ ნივთი მოპარულია,[14] ან სხვაგვარად ნების საწინააღმდეგო გავიდა მფლობელობიდან.[15] კერძოდ, ნივთი შესაძლოა არ დაღუპულა და არც დაზიანებულა, მაგრამ მსგავს შემთხვევაზე სასურველია მოცემული შემადგენლობის ფარგლებში „დაღუპვა“ ფართოდ განიმარტოს მოწესრიგების მიზნის გათვალისწინებით.[16]

ბ) გაფუჭება

გაფუჭება ეს არის ნივთის სხეულებრივი (ფიზიკური) თვისობრიობის შეცვლა, ხარისხობრივი ღირებულების შემცირება. 14

გ) შემთხვევითობა

აუცილებელია, სახეზე იყოს შემთხვევითი დაღუპვა ან გაფუჭება. შემთხვევითობა არ გულისხმობს მხოლოდ დაუძლეველ ძალას, არამედ მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომელიც არც ერთი მხარის პასუხისმგებლობის ქვეშ არ ექცევა.[17] 15

შესაბამისად, შემთხვევითობა გამოირიცხება, თუ ნივთის დაღუპვა ან გაფუჭება ნივთის ნაკლით ან გამყიდველის მიერ სხვა ვალდებულების დარღვევით არის განპირობებული.[18] 16

გამყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევამ (მაგალითად შესაბამისი შეფუთვის პირობების დარღვევა) შესაძლოა გამორიცხოს რისკის გადასვლა მყიდველზე,[19] თუ ნივთის დაზიანება ან განადგურება სწორედ ვალდებულების დარღვევის შედეგად იმ რისკების რეალიზებას მოჰყვა, რომელიც დაუშვა გამყიდველმა ბრალეულად. 17

მყიდველისათვის ნივთის გადაცემის მიუხედავად, მასზე არ გადავა შემთხვევითი დაღუპვის რისკი ნივთის მოწონების პირობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებში. ასეთ შემთხვევაში, ნივთი მყიდველზე გადაცემულად ჩაითვლება რისკის გადსვლის მიზნებისათვის მხოლოდ მყიდველის მიერ ნივთის მოწონების შემთხვევაში.[20] 18

---

[13] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 8.

[14] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2000 წლის 31 მარტის № 3კ\383 გადაწყვეტილება.

[15] MüKo/*Huber,* BGB, 6. Aufl., 2012, Art. 66 CISG, Rn. 6; *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 14.

[16] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 11; *Beckmann*, in Staudinger BGB, Buch 2, 14. Aufl., 2004, § 446, Rn. 34.

[17] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 2.

[18] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 1.

[19] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 16.

[20] BGH, Versäumnisurteil vom 17. 3. 2004 - VIII ZR 265/03 (LG Osnabrück), NJW-RR 2004, 1058; BGH, Urteil vom 19. 2. 1975 - VIII ZR 175/73 (Oldenburg) NJW 1975, 776.

4. გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში რისკის გადასვლის განსხვავებული წესი

19 თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევით დაღუპვის ან გაფუჭების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს.

20 მუხლის მე-2 ნაწილის ფორმულირება, თუ გამყიდველი მყიდველის მოთხოვნით გზავნის ნივთს სხვა ადგილას „ვიდრე ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული“ არაზუსტია. სასურველია, ნორმა განიმარტოს იმგვარად, რომ ის ერთნაირად გავრცელდეს იმ შემთხვევებზე, როდესაც მხარეთა შორის ხელშეკრულებით წინასწარ ან შემდგომ მოხდა გაგზავნის შესახებ შეთანხმება. აქ უმნიშვნელოა, მხარეები თავიდანვე შეთანხმდნენ გაგზავნის ვალდებულებაზე თუ შემდეგ მოხდა ხელშეკრულების მოდიფიცირება დამატებითი პირობით.[21]

21 482-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს გამონაკლისს ამავე მუხლის 1-ლი ნაწილისაგან. კერძოდ, გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში, შემთხვევითი დაღუპვის რისკი გადადის მყიდველზე არა გადაცემის, არამედ უკვე ტრანსპორტირებისათვის გადაცემის მომენტში. ასეთი მიდგომა აიხსნება იმით, რომ გამყიდველი, ჩვეულებრივ, ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთი მყიდველის მიერ ე. წ. „წამოღების“ ვალდებულების ფარგლებში.

22 შესაბამისად, გამყიდველი, რომელიც მყიდველის სურვილით მზად არის, გაუგზავნოს მყიდველს ნივთი, არ უნდა აღმოჩნდეს უარეს მდგომარეობაში, ვიდრე ის გამყიდველი, რომელიც მყიდველს გადასცემს ნივთს ადგილზე.[22] ანალოგიურია გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში რისკის გადასვლის წესი ვენის ნასყიდობის კონვენციის მიხედვით. ასეთი მიდგომა აიხსნება ასევე იმ გარემოებით, რომ გამყიდველი ნივთის პირველივე გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან კარგავს ნივთზე კონტროლს (მისი დაცვისა და მასზე ზედამხედველობის რეალურ შესაძლებლობას). შესაბამისად, მართებულია, რომ რისკი მყიდველმა იკისროს, ვინაიდან სწორედ მისი სურვილით ხდება ნივთის გაგზავნა.[23]

23 გადამწყვეტი არგუმენტი, რომელიც აღნიშნულ კონსტრუქციას ამართლებს ის არის, რომ ტრანსპორტირება შესაბამისი და გამართული მიწოდების რისკ ზრდის, რომელიც მიზანშეწონილია მყიდველმა იკისროს, ვინაიდან სწორედ მისი ინიციატივით ხდება ვალდებულების შესრულება ამ გზით.[24]

24 მყიდველის მოთხოვნა, მხარეთა შეთანხმებად უნდა განიმარტოს მიუხედავად იმისა, შეთანხმება ხელშეკრულებაში თავიდანვე მოხდა თუ აღნიშნული მოთხოვნა მყიდველმა შემდეგ წარადგინა. ეს წესი არ გავრცელდება შემთხვევებზე, თუ მყიდველი საკუთარი ინიციატივით გზავნით ნივთს. კერძოდ, თუ მყიდველის ნება გაგზავნის შესახებ არ არსებობს და გამყიდველ უფლებამოსილი გარეშე გზავნის ნივთს.[25]

---

[21] *Faust,* in Beck OK BGB, § 447, Rn. 7.
[22] *Faust,* in Beck OK BGB, § 447, Rn. 1.
[23] MüKo/*Huber,* BGB, 6. Aufl., 2012, Art. 67 CISG, Rn. 1.
[24] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 2.
[25] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 8-9.

მეტიც, გამყიდველის მიერ ნივთის თვითნებური გაგზავნის შემთხვევაში არათუ რისკი არ გადავა მყიდველზე, არამედ მას შესაძლოა, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით, ზიანის ანაზღაურებაც კი დაეკისროს ვალდებულების დარღვევის გამო.[26] 25

ამ შემთხვევაში, გადამზიდველისა თუ გადაზიდვაზე პასუხისმგებელი პირისათვის ჩაბარება გულისხმობს გამყიდველის მიერ იურიდიული თუ ფაქტობრივი ზომების ერთობლიობის მიღებას. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს გამყიდველის მიერ გადაზიდვის ხელშეკრულების დადება, შესაბამისი დოკუმენტების გადამზიდველისათვის გადაცემა, თავად ნივთის გადაცემა და სხვა ისეთი ზომების მიღება,[27] რაც დაადასტურებს, რომ გამყიდველმა თავის მხრიდან ყველაფერი განახორციელა ვალდებულების შესასრულებლად.[28] 26

გამყიდველმა არა მხოლოდ უნდა გამოაცალკევოს და წაღებისათვის მოამზადოს ნივთი, არამედ მიზნობრივად უნდა გადასცეს ტრანსპორტირებაზე უფლებამოსილ პირს მყიდველისათვის გადაცემის მიზნის დაკონკრეტებით.[29] 27

გადამზიდველი ან გადაზიდვაზე უფლებამოსილი პირი შეიძლება იყოს ნებისმიერი გადამზიდველი სატრანსპორტო კომპანია, ისევე როგორც ფოსტა, რკინიგზა და სხვ. რამდენად გამართლებულია, გაგზავნის ვალდებულების შემთხვევაში, გამყიდველთან მჭიდროდ დაკავშირებული პირები გადაზიდვის შესრულებაზე უფლებამოსილ პირებად ჩაითვალოს ამ მოწესრიგების მიზნებისათვის, სადავოა. სამსჯელოა, მხარეთა შორის ასეთი შეთანხმების არსებობა ხომ არ მიუთითებს თავისთავად მიტანის და არა გაგზავნის ვალდებულებაზე შეთანხმების არსებობას, რაც, 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის გათვალისწინებით, განსხვავებულ წესს ადგენს.[30] კერძოდ თუ გამყიდველი, რომელიც გადასცემს ნივთს ტრანსპორტირებისათვის მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირს, ინარჩუნებს ნივთზე კონტროლის განხორციელების შესაძლებლობას,[31] რისკის მყიდველზე გადასვლას არ იქნება გამართლებული. გერმანულ დოქტრინაში საპირისპირო მოსაზრებაც განიხილება, რომლის თანახმად, გამყიდველის მიერ საკუთარი სატრანსპორტო საშუალებით ან მასთან მჭიდროდ დაკავშირებული პირების მეშვეობით გაგზავნის განხორციელება არ გამორიცხავს გაგზავნის ვალდებულების შესაბამისად რისკის მყიდველზე გადასვლის შესაძლებლობას.[32] 28

გერმანული მიდგომისაგან განსხვავებით, DCFR-ის განმარტებების თანახმად, უდავოდ მიიჩნევა, რომ გაგზავნის ვალდებულების შემთხვევისათვის გათვალისწინებული მოწესრიგება არ უნდა გავრცელდეს შემთხვევებზე, როდესაც გამყიდველი საკუთარ დასაქმებულს ან სატრანსპორტო საშუალებას იყენებს ნასყიდობის საგნის „გაგზავნისათვის“.[33] 29

შეჯამების სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ნორმის გამოყენების წინაპირობაა მხარეთა შორის ნასყიდობი საგნის გაგზავნის ვალდებულების შესახებ შეთანხმება. შესაბამისად, მხარეთა შორის გაგზავნის ვალდელებულებაა შეთანხმებული თუ მიტანისა, ხელშეკრულების განმარტების შედეგად უნდა დადგიდეს. შესაბამისად ის გარემოება, თუ ვინ ახორციელებს 30

---

[26] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 9.
[27] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 14.
[28] *კერესელიძე,* უზოგადესი ცნებები, 2009, გვ. 198
[29] MüKo/*Huber,* BGB, 6. Aufl., 2012, Art. 67 CISG, Rn. 2, 9.
[30] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 15.
[31] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 4.
[32] *Faust,* in Beck OK BGB, § 447, Rn. 9.
[33] შდრ. Principles, Definitions and Model Rules of European Private Law (http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-law_en.pdf), IV.A.-2:204, p. 1295.

ტრანსპორტირებას, შესაძლებელია იყოს შეთანხმების არსებობის დადგენის ერთ-ერთი მაგრამ არა ერთადერთი კრიტერიუმი. შესაბამისად, ეს გარემოება სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში უნდა გაანალიზდეს ხელშეკრულების განმარტებისას.[34]

III. სამართლებრი ვიშედეგი

31 რისკის გადასვლის შემდეგ ნივთის დაღუპვა და დაზიანება არ ახდენს ზეგავლენას გამყიდველის საპასუხო მოთხოვნებზე.[35] კერძოდ, ნივთზე რისკის გადასვლის შემდეგ, ნივთის დაღუპვისა და დაზიანების მიუხედავად, მყიდველი ვალდებულია, გადაიხადოს ნასყიდობის ფასი.[36]

5. ხელშეკრულებით განსხვავებული წესის შეთანხმება:

32 რისკის გადასვლის მომენტი შესაძლებელია, ხელშეკრულებით განსხვავებულად მოწესრიგდეს.[37] ასეთი შეთანხმება აშკარად გამოხატული და არაორაზროვანი უნდა იყოს. შესაბამისად მხოლოდ ის გარემოება, მაგალითად, რომ გამყიდველი კისრულობს გაგზავნის ხარჯებს, არ მიუთითებს რისკის გადანაწილების შესახებ განსხვავებულ შეთანხმებაზე.[38]

33 მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს და დაკონკრეტდეს, თუ რა ჩაითვლება გადაცემად ამ მუხლის მიზნებისათვის. ასეთად, შესაძლოა, მაგალითად, ჩაითვალოს გამყიდველის მიერ ნივთის მესამე პირზე გადაცემა.[39]

34 რისკის გადასვლის განსხვავებული წესის შესახებ შეთანხმების დასაშვებობა შეიძლება შეიზღუდოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. აღნიშნული გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების მეშვეობით, როდესაც ხდება გამყიდველის მიერ მომხმარებლისათვის საზიანო, განსხვავებული პირობის გათვალისწინება გამყიდველის მიერ პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების მიზნით.[40]

IV. მტკიცების ტვირთი

35 გამყიდველს ეკისრება მტკიცების ტვირთი, რომ მან უფლებამოსილ პირს გადასცა შესაბამისი შესრულება.[41] მას ეკისრება ასევე მტიცების ტვირთი გაგზავნის ვალდებულების შეთანხმების არსებობის შესახებ. გამყიდველმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა ამტკიცოს რომ თავისმხრივ ყველა სავალდებულო ზომა მიიღო ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით.[42]

---

[34] *Faust,* in Beck OK BGB, § 447, Rn. 7, 9.
[35] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 10.
[36] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn. 15; MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 11.
[37] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 475, Rn. 5.
[38] MüKo/*Huber,* BGB, 6. Aufl., 2012, Art. 67 CISG, Rn. 22.
[39] *Faust,* in Beck OK BGB, § 446, Rn, 8.
[40] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 446, Rn. 14.
[41] MüKo/*Westermann*, BGB, 6. Aufl., 2012, § 447, Rn. 27.
[42] *Beckmann*, in Staudinger BGB, Buch 2, 14. Aufl., 2004, § 447, Rn. 75.